ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 108 (19550) ◆ ᲙᲕᲘᲠᲐ, 11 ᲛᲐᲘᲡᲘ, 1986 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

ᲡᲙᲙᲨ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲨᲘ

ᲡᲙᲙᲨ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 8 მაისს გამართულ სხდომაზე განიხილა პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებანი. ამ საკითხზე მიღებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში დასახულია განხორციელდეს იმ ორგანიზაციულ, ეკონომიკური და სამართლებრივ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა მიზანია პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის ამაღლება სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. გათვალისწინებულია გაიზარდოს სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობა პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესებისათვის მისი დამზადების ყველა სტადიაზე. განსაზღვრულია იმ კონკრეტულ ამოცანათა წრე, რომლებიც ეკისრებათ ახალი ტექნიკის დამამუშავებელ ორგანიზაციებს. მიზნად არის დასახული მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, როცა ახლად შექმნილი მანქანები, მოწყობილობა, მასალები და ნედლეულები უნდა შეესაბამებოდეს ან აღემატებოდეს უმაღლეს მსოფლიო მიღწევებს. იზრდება ტექნიკური კონტროლის სამსახურების როლი და ფართოვდება მათი უფლებამოსილება, საწარმოებში იქმნება არაუწყებრივი სახელმწიფო მიღება, რომელიც სსრ კავშირის სახსტანდარტს ექვემდებარება. დიდი ყურადღება ეთმობა ნაწარმის ხარისხზე ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების ზემოქმედების გაძლიერებს, ფართოვდება მზა პროდუქციის მომხმარებელთა უფლებები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ დასახულ ღონისძიებათა განხორციელება უნდა გახდეს პარტიული და საბჭოთა ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი. შრომითს კოლექტივებში უნდა შეიქმნას ისეთი მორალური კლიმატი, როცა პატიოსანი, კეთილსინდისიერი მუშაკი იგრძნობს მუდმივ მხარდაჭერას, წუნისმკეთებელი კი დაგმობას. პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლას უნდა მივანიჭოთ მასობრივი საზოგადოებრივი მოძრაობის ხასიათი, ამასთან უკვე მეთორმეტე ხუთწლედში უნდა მივაღწიოთ გადამწყვეტ გარდატეხას ამ საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განიხილა სახალხო მეურნეობის დარგებში ავტომატური როტორული და როტორულ-კონვეიერული ხაზების დანერგვის დაჩქარებასთან დაკავშირებული საკითხები. აღინიშნა, რომ ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების ხელმძღვანელები ურიგდებიან მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ამ დიდმნიშვნელოვანი მიმართულების შეუფასებლობას, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების მრავალგზის გადიდებასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ამასთან დაკავშირებით განისაზღვრა როტორული და როტორულ-კონვეიერული ხაზების წარმოების გადიდების მიმართულებანი. მათ შექმნაში ეიმება ყველა წამყვანი მანქანათსაშენებელი სამინისტრო. გათვალისწინებულია შესაბამისი სამუშაოების მეცნიერული ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის გაძლიერების ღონისძიებანი. დასახულია ამ ხაზების დაპროექტების, დამზადებისა და ექსპლოატაციის საეკონომიკოთა მომზადების, ჯერეთვე საინჟინრო კადრების კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა.

განხილულს სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის წინადადება ოლქის სამრეწველო საწარმოთა დაჩქარებული ტექნიკური განახლების შესახებ. აღინიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს და დროულია ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მიმდინარე მუშაობა არსებული საწარმოო პოტენციალის უფრო სრული გამოყენებისა, ავლილობის კოეფიციენტის გადიდების, მოქმედ საწარმოებში ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობის განახლების ოპტიმალური ვადების დაცვის, იმ სახსრების წილის ზრდის მიზნით, რომლებიც ხმარდება ტექნიკურ განახლებასა და რეკონსტრუქციას ახალი მშენებლობის შემცირების ხარჯზე. პოლიტბიურომ მხედველობაში მიიღო, რომ დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობის გამოყენების ეფექტიანობის გადიდებას, და შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს წინადადება მისცა დაუფუძნონ ამ მიზნებით გამოყოფილ კაპიტალდაბანდებათა გამოყენების სფერო, რათა განახორციელონ ლენინგრადსა და ლენინგრადის ოლქში წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებისა და საწარმოო ფონდების განახლების დაჩქარების დამატებითი ღონისძიებები.

პოლიტბიურომ განიხილა მთავრობის კომისიის ინფორმაცია ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ავარიის შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ კომისია, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ოპერატიულად ახორციელებენ ავარიის შედეგების დაძლევის საჭირო ღონისძიებებს. რთულ სიტუაციაში საბჭოთა ადამიანები იჩენენ დიდ შეგნებას, სიმტკიცესა და ვაჟკაცობას. ზუსტად და თავდადებით მოქმედებენ სადგურის პერსონალი, მეცნიერები, ინჟინერ-ტექნიკური და სამედიცინო მუშაკები, მეტრანსპორტელები, სამხედრო მოსამსახურეები, ყველა, ვინც მონაწილეობს მიმდინარე ღონისძიებებში. მოკლე დროში ყველა ევაკუირებული უზრუნველყოფილია ბინით, კვებით, სამედიცინო მომსახურებით. მათ მიმართ გულისხმიერ და მზრუნველ დამოკიდებულებას იჩენენ მეზობელი რაიონების მცხოვრებლები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ მიიღეს დადგენილება ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ზონის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობების შესახებ. მასში გათვალისწინებულია დამატებითი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია დროებით ევაკუირებული მოსახლეობის შრომითი მოწყობა, ზარალის ანაზღაურება, ავარიის შედეგების ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ სამუშაოებზე შრომის ანაზღაურება. კერძოდ, შეიქმნა ატომური ელექტროსადგურის ზონაში მომუშავე საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივთა მატერიალური სტიმულირების დამატებითი ფონდები. გამოყოფილია სახსრები გახმაურებული მოქალქენების ერთდროული დახმარებისათვის, ტანსაცმლის, პირველი საჭიროების სხვა საგნების შეძენისათვის, მათი კვებისა და მგზავრობის საფასურის გადახდისათვის. დადგენილია, რომ ავარიასთან ან მისი შედეგების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით დაკარგული შრომისუნარიანობისათვის დახმარება გაიცემა სუფთალო ხელფასის ოდენობით შრომითი სტაჟისა და მუშაობის ადგილის მიუხედავად. ისინი, ვინაც ეს სჭირდება, უზრუნველყოფილი იქნებიან სანატორიულ-საკურორტო მკურნალობის უფასო საგზურებით. გათვალისწინებულია ევაკუირებულთა, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ზონის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილებანი მთელ რიგ სხვა საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება ქვეყნის სამეურნეო მექანიზმის შემდგომ სრულყოფასა და საწარმოო ძალების განვითარებას, აგრეთვე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური კურსის განხორციელებას, რომლის მიზანია მშვიდობის უზრუნველყოფა და ყველა სახელმწიფოსთან კეთილმეზობლური, ხელსაყრელი ურთიერთობის გაფართოება.

ᲛᲐᲠᲐᲓ ᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲑᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ

ᲓᲐ ისევ საქართველოს დედაქალაქში მაისის სიმწვანე ააფერადა დროშებისა და ტრანსპარანტების სიწითლემ, ორდენებისა და მედლების ოქრო-ვერცხლმა. კვლავ ათასობით მოქალაქე გამოვიდა ქუჩებში და მოედნებზე, რათა გამოეხატათ სიყვარულისა და მადლიერების გრძნობა ადამიანებისადმი, რომლებსაც დღევანდელ ნთელ გაზაფხულის დღეებს უნდა უმადლოდნენ. თბილისს გამარჯვების დღესასწაული ეწვია. ტახჯვეთ, მილიონობით ადამიანის სისხლის ფასად მოპოვებული, მამაცობით, ვაჟკაცობით, ადამიანის სულის სიმტკიცით შობილი დღესასწაული.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 41 წლისთავის გამო თბილისში 9 მაისს გამართულ სადღესასწაულო ღონისძიებებში ქალაქის მცხოვრებლებთან და სტუმრებთან ერთად მონაწილეობდნენ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲔᲑᲘ **ჯ. ი. პატიაშვილი, გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ა. ანჩაბაძე, გ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, ა. ნ. ინაური, კ. ა. კოჩიტოვი, ბ. ვ. ნიკოლსკი, ტ. ვ. როსტაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ვ. ი. ალავიძე, ვ. გ. ლორთქიფანიძე, თ. ი. მოსაშვილი, ნ. რ. საჯაია.**

დღესასწაულობაში მონაწილეობდნენ ჩვენს რესპუბლიკაში მყოფი მპლა-შრომის პარტიის თავმჯდომარე, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი **ჟოზე ედუარდუ დოშ სანტუში** და მისი თანმხლები პირნი, აგრეთვე საპატიო სტუმრებად ჩამოსული სსრ კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. იაზუყოლიევი** და სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ანგოლაში **ა. ი. კალინინი.**

10 მაისს მპლა-შრომის პარტიის თავმჯდომარე, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი ჟოზე ედუარდუ დოშ სანტუშა ინტერვიუ მისცა საქინფორმის კორესპონდენტს.

— „ამაყოფილი ვართ მიღწეული შედეგებით, მიგვაჩნია, რომ სსრ კავშირში ახლანდელი ეზიზი ეიდევ ერთი ეტაპი გახდება მპლა-შრომის პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ანგოლის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში.

თქვენს ქვეყანაში ყოფნის დროს განვიხილეთ პარტიული, სახელმწიფო და ეკონომიკური თანამშრომლობის დარგში ორმხრივი ურთიერთობის განვითარების დიდმნიშვნელოვანი საკითხები, დავსახეთ აგრეთვე მისი შემდგომი გაფართოება-გაღრმავების ღონისძიებანი.

საერთაშორისო საკითხების განხილვისას შევეხეთ აფრიკაში, უწინარეს ყოვლისა კონტინენტის სამხრეთ ნაწილში შექმნილი მდგომარეობის პრობლემებს.

გულთბილი ძმური მასპინძლობა გაგვიწიეს საბჭოთა საქართველოში. რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა თავაზიანად გაგვაცნეს საქმის ვითარება ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების, კულტურის, მეცნიერების სხვადასხვა დარგში და. ა. შ.

შთამბეჭდავია საბჭოთა ხელისუფლების 65 წლის მანძილზე საქართველოს მიერ მიღწეული უდიდესი წარმატებები. აქ მნიშვნელოვნად ამაღლდა მოსახლეობის ცხოვრების დონე, წლითიწლობით იზრდება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება. ყოველივე ეს გვარწმუნებს, რომ რესპუბლიკა წარმატებით მიაღწევს სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახულ მიზნებს.

რესპუბლიკის მშრომელებთან შეხვედრების დროს ვიგრძენით ადამიანური სითბო და გულისხმიერება. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში საბჭოთა კავშირ-ანგოლის მეგობრობის მიტინგზე განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა საქართველოს მშრომელთა ურყევი სოლიდარობა დამოუკიდებლობისათვის, ტერიტორიული მთლიანობისა და ახალი ცხოვრების აშენებისათვის ანგოლელი ხალხის სამართლიან ბრძოლასთან.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე კომკავშირულმა ქალაქმა ბორის ძნელაძემ. ჩვენ ვნახეთ, რომ რესპუბლიკაში ახალგაზრდობისათვის ნაყოფიერი სწავლის, მუშაობისა და დასვენების ყველა პირობაა შექმნილი.

ფაშიზმზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ დღესასწაულ რომ დავესწარით, თვალნათლივ დავინახეთ საბჭოთა ადამიანების სხვადასხვა თაობის მემკვიდრეობითობის ძალა. ეს იყო პარტიის, ხალხისა და არმიის ურღვევი ერთიანობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის ტრადიციების ურყევობის მკაფიო დემონსტრაცია.

დასასრულ ნება მიბოძეთ დიდი მადლობა გადავიხადო გულთბილი მასპინძლობისათვის, სიმპათიისა და მეგობრობის გამოვლინებისათვის, რომელსაც აქ ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდით.

(ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ).

Ჯ. Ე. ᲓᲝᲨ ᲡᲐᲜᲢᲣᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲩᲕᲔᲜ რესპუბლიკაში მყოფი მპლა-შრომის პარტიის თავმჯდომარე, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი ჟოზე ედუარდუ დოშ სანტუში და მისი თანმხლები პირნი 9 მაისს მონაწილეობდნენ გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ ზეიმში.

იმავე დღეს სტუმრები ეწვივნენ კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეს, სადაც დაესწრნენ ბავშვთა თვითმოქმედების კონცერტს. ჟ. ე. დოშ სანტუშმა ხე დარგო საპატიო სტუმრების ხეივანში.

საღამოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ სადილი გაუმართეს საპატიო სტუმარს. სადილზე ამხანაგებმა ჯ. ი. პატიაშვილმა, პ. გ. გილაშვილმა, ო. ე. ჩერქეზიამ და ჟ. ე. დოშ სანტუშმა სიტყვები წარმოთქვეს.

სადილად იყვნენ ამხანაგები გ. დ. გაბუნია, გ. ნ. ენუქიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ვ. მელქაძე და სხვა ოფიციალური პირნი.

თბილისიდან გამგზავრების წინ მპლა-შრომის პარტიის თავმჯდომარემ, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჟოზე ედუარდუ დოშ სანტუშმა ინტერვიუ მისცა საქინფორმის კორესპონდენტს.

— „ამაყოფილი ვართ მიღწეული შედეგებით, მიგვაჩნია, რომ სსრ კავშირში ახლანდელი ეზიზი

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲚᲘ. ᲡᲘᲛᲝᲜ ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲕᲐᲠ ᲚᲝᲛᲕᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲨᲔᲜᲘᲜᲒᲝ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲗᲐᲜ

ᲐᲛ დღეს — 9 მაისს — უწყვეტ ნაკადად მოდის ხალხი კრემლის გალავანთან უცნობი ჯარისკაცის საფლავზე. ეს ჩვენი საყოველთაოსახალხო სათაყვანოა. აქ არის ჩვენი ხსოვნა...

გარინდულან მოსკოვის გარნიზონის ჯარების კოლონები. მათ მწყობრს ამშვენებენ იმ ნაწილების და შენაერთების საბრძოლო დროშები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში.

ომში დაღუპული საბჭოთა მეომრების ნათელი ხსოვნის პატივსაცემად უცნობი ჯარისკაცის საფლავთან მოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. ლ. სოკოლოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეები და თვალსაჩინო მხედართმთავრები.

სრულდება სამგლოვიარო მელოდია, საფლავს გვირგვინთ ამკობენ.

* * *

გამარჯვების დღესასწაულზე უცნობი ჯარისკაცის საფლავი შეამკეს გვირგვინებით სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის საბჭოს აღმასკომის, სკკპ მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საოლქო საბჭოს აღმასკომის სახელით.

გვირგვინებთა და ყვავილებით შემკობის ცერემონიაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ნ. ელცინი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის კომიტეტის მდივნები და ბიუროთა წევრები, ომისა და შრომის ვეტერანები, მშრომელთა წარმომადგენლები. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲛᲐᲠᲐᲓ ᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲑᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ

[illegible]

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲫᲔᲚᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲛᲝᲛᲐᲠᲯᲕᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲣᲚᲘ ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲫᲔᲚᲗᲐᲜ ᲒᲐᲠᲘᲜᲓᲣᲚᲘ ᲛᲔᲝᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲧᲐᲠᲘᲡᲣᲚᲘ. ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲘᲝ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡᲚᲔᲑᲘ ᲐᲜᲓᲠᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ, ᲡᲐᲥᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲠᲝᲨᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲘᲡᲛᲘᲡ Ს. ᲢᲣᲚᲘᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡ — „ᲚᲔᲜᲘᲜᲘ ᲛᲣᲓᲛ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘᲐ“ — ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲐ ᲓᲐ Გ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲫᲔᲚᲗᲐᲜ ᲙᲐᲠᲪᲮᲚᲔᲑᲔᲒᲚᲘ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲙᲝᲛᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲒᲘᲠᲩᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲛᲝᲛᲐᲠᲯᲕᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲣᲚᲘ ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ.

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲣᲚᲝᲛᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲛᲞᲚᲐ-ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ, ᲐᲜ�გᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ **ᲯᲝᲖᲔ ᲔᲓᲣᲐᲠᲓᲣ ᲓᲝᲨ ᲡᲐᲜᲢᲣᲨᲘ** და მისი თანმხლები პირნი, აგრეთვე საპატიო სტუმრებად ჩამოსული სსრ კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. იაზუყოლიევი** და სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ანგოლაში **ა. ი. კალინინი.**

10 მაისს მპლა-შრომის პარტიის თავმჯდომარე, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი ჟოზე ედუარდუ დოშ სანტუშა ინტერვიუ მისცა საქინფორმის კორესპონდენტს.

— „ამაყოფილი ვართ მიღწეული შედეგებით, მიგვაჩნია, რომ სსრ კავშირში ახლანდელი ეზიზი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲐᲛᲮ. Ზ. Ა. ᲩᲮᲔᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ზურაბ ამბროსის ძე **ჩხეიძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და გათავისუფლდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. **1986 წლის 8 მაისი.**

ᲖᲣᲠᲐᲑ ამბროსის ძე ჩხეიძე, დაიბადა 1930 წელს, ქართველია, სკკპ წევრია 1960 წლიდან, განათლებით ინჟინერ-მეტალურგი, დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და დაუსწრებლად სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ამხ. ზ. ა. ჩხეიძემ შრომითი საქმიანობა დაიწყო 1954 წელს მეფოლადის შეგირდად, შემდეგ იყო უკრაინის შავი მეტალურგიის სამინისტროს ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის „ზაპოროჟფოლადის“ მარტენის საამქროს ღუმლების მდინარელი ოსტატი. 1956-1958 წლებში იგი უკრაინის ლითონთა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელია.

1962 წლამდე მუშაობდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეტალურგიული ლაბორატორიის, შემდეგ — ცენტრალურ საქარხნო ლაბორატორიის უფროსად, 1962 წლიდან კი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების ასისტენტად დამთავრების შემდეგ — იგი ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილეა. 1965 წელს დაინიშნა ზესტაფონის ფერომენგანმთა ქარხნის დირექტორად.

1970 წელს ამხ. ზ. ა. ჩხეიძე აირჩიეს საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, ხოლო 1972 წელს დანიშნეს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრად.

1975 წელს ამხ. ზ. ა. ჩხეიძეს ირჩევენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

1982 წლიდან დღემდე ამხ. ზ. ა. ჩხეიძე მუშაობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ.

ამხ. ზ. ა. ჩხეიძე არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, დაჯილდოებულია ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლით.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲐᲛᲮ. Ო. Გ. ᲕᲐᲠᲫᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲓ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲒᲔᲒᲛᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ომარ გიორგის ძე **ვარძელაშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ და გათავისუფლდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. **1986 წლის 8 მაისი.**

ᲝᲛᲐᲠ გიორგის ძე ვარძელაშვილი დაიბადა 1933 წელს, ქართველია, სკკპ

მარად იცოცხლებს ხალხის გმირობა

(დასასრული)

ეღერს ანგოლის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირის, საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

საზეიმო მარშით ჩაიარა საპატიო ყარაულის ასეულმა.

— ჩვენ გამარჯვების სახელობის პარკთან ვცხოვრობთ, — თქვა ა. არდიშვილმა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქციის თანამშრომელმა, რომელმაც ომის გზით იარა მისი პირველი დღიდან ბოლო დღემდე. — აქ, ხეივნებში, სადაც ამდენი რამ მოგვაგონებს ჩვენი ხალხის გმირობას, გაიზარდა ჩემი ვაჟიშვილი. ახლა აქ შვილიშვილთან ერთად მოვდივარ ხოლმე — მან პატარაობიდანვე იცის, ვის უნდა უმადლოდეს თავის ბედნიერ ბავშვობას.

პაპები და შვილიშვილები, მამები და შვილები — ხელიხელჩაკიდებულნი მოვიდნენ რესპუბლიკის მოედანზე, რომელიც ამ ღირსშესანიშნავ დღეს დღესასწაულობის ეპიცენტრი გახდა. აქ გაიმართა პოლიტიკური და სამხედრო-პატრიოტული სიმღერის პირველი რესპუბლიკური კონკურს-ფესტივალის გამარჯვებულთა სადღესასწაულო კონცერტი.

წლევანდელი გამარ ჯ ვ ე ბ ი ს დღესასწაულის წინ ახალი შესანიშნავი ტრადიცია იშვა. რესპუბლიკის სასწავლებლებში, ჯარის ნაწილებში ასობით ქალიშვილი და ჭაბუკი მონაწილეობდა ამ კონკურსში, რომელიც არა მარტო მუსიკალური და ვოკალური ოსტატობის დათვალიერება, არამედ ჩვენი ახალგაზრდობის მოქალაქეობრივის სწყაოც გახდა. გამარჯვებულებმა მიიღეს უფლება გამოსულიყვნენ თბილისში გამართულ საყოველთაო-სახალხო ზეიმზე. ამიერიდან ასეთი კონკურს-ფესტივალები, ასეთი კონცერტები ყოველწლიურად გაიმართება გამარჯვების დღესასწაულის წინ.

რესპუბლიკის მოედნის სტუმართა ტრიბუნებზე არიან სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები: ომის, შრომითი ფრონტის ვეტერანები და ისინი, ვინც მათგან ჩაიბარა სამშობლოს დიდებისა და ძლიერების გამრავლების ესტაფეტი.

შეკრებილნი გულთბილად მიესალმნენ სადღესასწაულო კონცერტის სტუმარს — ამხანაგ ქ. ე. დუშ სანტუშს.

სტუმართა შორის არიან იტალიიდან ჩამოსული ანტიფაშისტები, წინააღმდეგობის მონაწილეები, მათი ოჯახის წევრები.

— ჩვენ კარგად ვიცით, რომ მშვიდობისათვის ბრძოლაა საჭირო — თქვა იტალიის დელეგაციის ხელმძღვანელმა ა. კალეტიმ. — თანაც ბრძოლა არა მარტო ომის დროს, არამედ ახლაც, როცა დასავლეთის რეაქციული წრეები ცდილობენ უნდობლობა დათესონ ხალხთა შორის. საპირველმაისო დღესასწაული გავატარეთ კიევში და არ გვინახავს ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ავარიის არც ერთი „მსხვერპლი“, რომელთა შესახებაც გაჰყვირიან დასავლეთის ინფორმაციის საშუალებანი. ანტისაბჭოური ისტერიის ხმაურში მილიტარისტები ცდილობენ საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშორონ ბირთვულ აფეთქებებს ნევადაში, ლიბიის ბარბაროსულ დაბომბვას. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ პლანეტის თაგზე მაინც მშვიდობიანი, უღრუბლო ზეცა იქნება.

სწორედ ასეთი ზეცაა ასახული რესპუბლიკის მოედნის სცენაზე გამოფენილ გიგანტურ ტრანსპარანტზე. და კიდევ მშვიდობის მტრედები, გაზაფხულის ყვავილები და დალუქულ გმირთა სისხლივით წითელი წარწერა — „9 მაისი“. სცენა კი აავსო სამი ათასმა ქალაშვილმა და ჭაბუკმა, რომლებმაც შეადგინეს თბილისის საშუალო სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლისა და ტექნიკუმების გაერთიანებული გუნდი.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის, თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი, წითელი ვარსკვლავის ორდენსანი მეთაურთა საარტილერიო უმაღლესი სასწავლებლის და თბილისის გარნიზონის ერთ-ერთი ჯარის ნაწილის მუსიკოსები წამწკრივებულან მოედნის ცენტრში, და კიდევბზე. ყურადღებით ადევნებენ თვალს მათი დირიჟორები „მუსიკის სარდალს“ — ოლქის საორკესტრო სამსახურის უფროსს, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, პოდპოლკოვნიკ ვ. მარკელის.

— ბევრ სამხედრო პარადში მიმიღია მონაწილეობა, — თქვა მან. — 9 მაისის დღესასწაულზე კი ყოველთვის განსაკუთრებულ მოელვარებას განვიცდი. აქ მწვავედ გრძნობ დიდი სამამულო ომის მებრძოლებთან დღევანდელი მეომრების კავშირს.

ფანფარები იძლევიან სიგნალს: „ისმინეთ ყველამ!“ გაისმის მოლოცვა გამარჯვების დღესასწაულის გამო. პიონერები ყვავილებს მიართმევენ ომის ვეტერანთა დიდ ჯგუფს და მათთან ერთად ადიან სტუმართა ტრიბუნაზე. მათ, სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს, თითქოსდა საბჭოთა ხელისუფლების დაარსების სათავეებთან აბრუნებს რ. ლაღიძის კანტატა „ოქტომბრის მარში“, რომელსაც გუნდი ასრულებს.

1917 წლის ოქტომბრისა და 1945 წლის მაისის გამარჯვების მარშებს განაგრძობენ გმრთა მემკვიდრენი. მოედანზე მწყობრი ნაბიჯით ჩაიარეს არტილერისტების, მფრინველების, ტანკისტების, მოტომსროლელების, საარტილერიო სასწავლებლის კურსანტების ქვეგანაყოფებმა. უკვე მათი სმოღერების სახელწოდებებით შეიძლება გაადევნო თვალი საბჭოთა შეიარაღებული ძალების გმირული მარშების ნიშანსვეტებს — „ჩემი მოსკოვი“, „გუგუნებდნენ ფრონტები“, „წითელი მიხაკი“, „ჩვენი ასეული“, „პირველგვარდიელი“, „გამარჯვება“...

ამ მეომრების, მათი თანამებრძოლი ამხანაგების წყალობით გულდაჯერებით შეჰყურებს ხალინდელ დღეს მილიონობით ახალგაზრდა. ისეთები, როგორებიც არიან ნორჩი ტანმოვარჯიშენი, რომლებმაც საჩვენებელი გამოსვლა შეასრულეს ა. ნოვიკოვის „დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნის“ თანხლებით, თბილისს, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების კონცერტის მონაწილეები, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებოდნენ საესტრადო მოედნებზე. და ისეთები, როგორებიც არიან რესპუბლიკის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ანსამბლი „მერნის“ მოცეკვავენი, რომლებმაც ბრწყინვალედ შეასრულეს „ჯარისკაცთა ცეკვა“. ჯარისკაცებივით მწყობრი ნაბიჯით დატივეს ბავშვებმა მრედანი და მათ აციდებდა ძველებური მელოდია „სლავა ქალის დამშვიდობება“, რომლის თანხლებითაც მეომართა არაერთი თაობა წასულა სამშობლოს დასაცავად.

— მეც ამ მარშით მივდიოდი ფრონტზე, — იხსენებს გადამდგარი პოდპოლკოვნიკი, მრავალი საბრძოლო ორდენის კავალერი ვ. სმირნოვი. — ამ დღეებში იგი გაისმის ჩემს მშობლიურ ვარდიელ ნაწილში, სადაც ვეტერანთა საბჭოს ემეთაურობ.

დღესასწაული წარმოუდგენელია უპრემიეროდ, ულიბიუტოდ. ამჯერად „დებიუტანტი“ გახდა შ. მილორავის სმღერა „ძმობა“. ახალგაზრდა სმღერა „ქართული ყიორის თავმჯდომარემ იგი სპეციალურად 9 მაისისათვის დაწერა და თავად დირიჟორობდა გუნდს. სმღერას ენაცვლება ოდლების ხმა. მაგრამ ამჯერად მოედანზე ის მედოლეები როდი მოდიან, რომლებიც ჯარის კოლონას მეთაურობენ. ორასი ნორჩი მედოლე გოგონას უკან მოაბიჯებენ დღესასწაულის ყველაზე პატარა მონაწილენი. მათ ძალიან უნდათ უფროსებს ჰგავდნენ და მათი ლამაზი ტანსაცმელიც სსრ კავშირის სხვადასხვა ვვარეობის შეიარაღებული ძალების ფორმის მსგავსადაა შეკერილი.

ნამდვილი მხედრული გაწვრთნილობა და სამწყობრო მომზადება ცხადყვეს სამხედრო მუსიკოსებმა. ერთიან ორკესტრად გაერთიანებულებმა, მათ ჩაიარეს მარშ-პარადით და წყობის მრავალრიცხოვანი შეცვლის დროსაც არ შეუწყვეტიათ დაკვრა.

— ჩვენ — საფრონტო მსახიობთა და აგიტბრიგადების ტრადიციების მემკვიდრენი ვართ, — თქვა ანსამბლის სოლისტმა, აჭარის სსრ დამსახურებულმა არტისტმა ს. მურადაშვილმა. — ფრონტზე 16 წლისა წავედი მოხალისედ. და სამუდამოდ დამახსოვრდა, როგორ აფასებდნენ ჩემი თანამებრძოლი მეგობრები ბრძოლებსშუა შესვენების დროს მსახიობთა გამოსვლებს. 22 წლის წინათ ანსამბლში რომ მოვედი, ვსწავლობდი იმათგან, ვინც მოწინავე ხაზზე გამოდიოდა. წლებს თავისი მიაქვთ — ახლა ჩვენს კოლექტივში მე ომის ერთადერთი მონაწილე ვარ. თავად ვასწავლი ახალგაზრდებს იმავე ფრონტული ტრადიციებით.

... ისინი მოედანზე ერთმანეთის მხარდამხარ იდგნენ — გამოცდილი და ახალბედა მსახიობები, პროფესიონალები და თვითმოქმედი კოლექტივების მონაწილენი — სტუდენტები და მეომრები. მღეროდნენ „გამარჯვების დღეს“ — ხალხის ერთ-ერთ უსაყვარელს სმღერას და ტრიბუნები იტაცებდნენ ყველასთვის ნაცნობ სიტყვებს: „ეს ცრემლნარევი სიხარულია...“

კონცერტის დასასრულს საგაზაფხულო ზეცა ფიიერვერკმა გააფერადა.

ამავე დროს დღესასწაულობის მონაწილეები კიდევ ერთმა ცეცხლმა გაანათა. ლისის ტბაზე წითელი პარტიზანების სახელობის პარკში აინთო ტრადიციული პარტიზანული კოცონი.

ყოფილმა პარტიზანებმა პიონერებთან და კომკავშირელებთან ერთად შეამკეს გვირგვინებით საბჭოთა კავშირის გმირის, კოკპაკელი დ. ბაკრაძისა და სამოქალაქო ომის გმირის ნ. კალანდარიშვილის ძეგლები. შემდეგ ვეტერანები გახდნენ ტბის ნაპირას გამართული დიდი სახალხო დღესასწაულის მთავარი მოქმედი პირნი.

სხვათა შორის, ამ დღეს დღესასწაული ეწვია ყოველ ქუჩას და, უწინარეს ყოვლისა, იმ ქუჩებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის გმირების სახელობისაა. კულტურისა და დასვენების პარკებში, სტადიონებსა და სპორტულ მოედნებზე გამოვიდნენ თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივები, მოეწყო ახალგაზრდული შეჯიბრებები.

თბილისში გამართული გამარჯვების დღესასწაული ღამის საოლიმპიადამ დაგვირგვინა.

სოხუმი

იმათ შორის, ვინც 9 მაისს მოვიდა ლენინის მოედანზე, რათა ზეიმით აღენიშნა გამარჯვების დღესასწაული, ყოფილი ფრონტელები ბევრად მეტნი იყვნენ, ვიდრე სოხუმის ომის ვეტერანთა საქალაქო საბჭოს სიებში აღრიცხული. ეს სანატორიუმებიდან და პანსიონატებიდან ადილად თანამოსაგრეებთან დღესასწაულზე მოვიდნენ ქალაქ-კურორტის დამსვენებლები — დიდი სამამულო ომის მონაწილენი.

აფხაზეთის დედაქალაქის მთავარ მოედანზე, სადაც ჩვეულებრივ ომართება ხოლმე სახალხო ზეიმი, ამ დილას ბევრი მუსიკა და ყვავილები იყო. სამშობლოს მამაც დამცველებს მიულოცეს ავტონომიური რესპუბლიკის მრავალრიცხოვანი შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებმა.

გაერთიანებული კოლონით გაემართნენ გამარჯვების მემორიალისაკენ ომისა და შრომის ვეტერანები და გვირგვინებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის ძეგლი, რომელთანაც მარადიული ცეცხლი ანთია.

გამარჯვების დღესასწაულს აღსანიშნავ ზეიმში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის ტ. ბაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ადლეიბა.

ბათუმი

ორმაგად სასიხარულო გახდა გამარჯვების წლევანდელი დღესასწაული პოეტის, ომის ვეტერანის მ. ვარშანიძისათვის, ბათუმის პირველი ხარისხის სამამულო ომის ორდენოსანი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის უფროსი ოპერატორის, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის თ. დოლიძისა და რესპუბლიკის სახალხო არტისტის ჰ. მეგრელიძისათვის. 9 მაისს გამართულ ზეიმზე ბათუმელებმა ისინი ქალაქის საპატიო მოქალაქეებად აირჩიეს.

აჭარის დედაქალაქში გამარჯვების დღესასწაული დაიწყო ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ვ. ი. ლენინის ძეგლის გვირგვინებით შემკობის ცერემონიით.

გამარჯვების დღესასწაული გაგრძელდა ბათუმის ქუჩებში, მოედნებზე, პარკებში. ზღვისპირა პარკის ღია ესტრადაზე გამოვიდნენ ქალაქის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები და მოლდაველთიდან, დონეცკიდან, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკიდან სტუმრად ჩამოსული ფოლკლორული ანსამბლები.

დიადი გამარჯვების 41 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე.

ცხინვალი

ჩვეულებრივ დღეებშიც აწყვია ყვავილები სამხრეთ ოსეთის დედაქალაქის გმირთა ხეივანში აღმართულ ძეგლებთან, გამარჯვების დღესასწაულზე კი ცხინვალელებმა აქ ასობით ოთხფეული, ათობით გვირგვინი ხოლოდენ. სახეიმო მიტინგი აქ დაიწყო ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ვ. ი. ლენინის ძეგლის გვირგვინებით შემკობის ცერემონიის შემდეგ.

ცხინვალი — ოთხივ მეტი სოფლები ერთეული, მხლებელი სოფლების მებრძოლებები შეიარაღნენ ... ბრძოლა ... ...

ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის პრობლემას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ილიას მსოფლმხედველობის განსჯავებულ შეფასებას ხშირად გამოუწვევია ეჭვი და ვაჟა მის ნაციონალისტურ და ნიჰილისტურად განწყობილ მოწინააღმდეგეებისათვის. „შორის. თანამედროვეობა ლიტერატურათმცოდნეობა“ მსოფლმხედველობის თაობაზე მეთოდოლოგიურად მცდარ მოსაზრებანი.

ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპოქა გარდამავალი ხანა იყო. მიმდინარეობდა ობიექტური ურთიერთობის კატაკლისტურით შეცვლისა და საზოგადოების ბურჟუაზიულ ერად ორგანიზაციის წინააღმდეგობრივი პროცესი, რაც იმდროინდელი საქართველოს ცალმხრივი შეფასების საფუძველს ქმნიდა სოციალურ და ეკონომიურ მიზეზებს წარმოშობდა.

ილია ჭავჭავაძე ზოგჯერ მერყეობდა დემოკრატიზმსა და ლიბერალიზმს შორის, უშვებდა ცალკეულ გადაზვევებს ლიბერალიზმისკენ, მაგრამ ყოველთვის უცვლელი რჩებოდა მისი მოღვაწეობის საერთო მიმართულება და ძირითადი ტენდენცია, საერთო სულისკვეთება და მნიშვნელობა. ... სათავე დაუდო ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობას, და ... მისცა რევოლუციურ გადასვლათა ... ერთგული. ილიას სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებანი რევოლუციურ-უტოპიური სოციალურ ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული

შრომა, გმირობა, დღესასწაული

ჩვენი დღესასწაულების უცვლელი თანამგზავრია ალისფერი დროშა... ისევე როგორც ყველგან საბჭოთაში, 9 მაისს, გამარჯვების დღეს, იგი ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის თავზეც აფრიალდა. დროშა აღმართეს იმათ, ვინც დღეს დგას ვახტზე, რომელსაც სრული უფლებით შეგვიძლია ვუწოდოთ სახბრძოლო ვახტი.

დიახ, ახლა ჭირს, დიახ, მიმდინარეობს ტიტანური, ქანცგამწყვეტი მუშაობა, რომლის დროსაც არავის არა აქვს დასვენების თუ შესვენების უფლება. მაგრამ ეს ადამიანები, რომლებმაც ცეცხლსა და ფერფლში გამოიარეს, ყოველ წუთს გმირობას რომ აკეთებენ, უკვე გამარჯვებულები არიან!

ისინი, ვისაც ჩერნობილში შეეხვდით, ვინც მიდიოდა ვახტზე ან ვახტიდან ბრუნდებოდა, უმთავრესად ახალგაზრდები არიან. მათ ბიოგრაფიაში არ ყოფილა ომი. ომი განიცადეს მათმა მამებმა და დედებმა, ომმა ისინი გააჭარალა, მათ მიაყენა დანაკლისის მოუშუშებელი იარები. მაგრამ აი, ახალი თაობისათვისაც დადგა განსაცდელის ჟამი. ისეთი, როგორიც ვეტერანებსაც კი არ ახსოვთ... და ამ არნახულ ბრძოლაში ახალგაზრდათაგან არც ერთი არ შემდრკალა, უკან არ დაუხევია, განსხვავებული წლებია —ორმოცდაანი და ოთხმოცდაანი წლები. ადამიანი კი იგივეა — საბჭოთა!

არ არის ახლა კიევსა და მის გარეუბნებში არც ერთი ობელისკი, არც ერთი ძეგლი, ყვავილებით, გვირგვინებით, ყვავილწნულებით რომ არ იყოს შემკული. რა საზეიმოდ და დიდებულად აღმართულან თეთრ სანთლებად აყვავებული კიევური წაბლის ხეები! 9 მაისი სამართლიანად არის ომის ვეტერანთა დღე. ფრონტელებმა მიიბნიეს ორდენები, წელში გაიმართნენ, ქუჩებში გამოვიდნენ. აი, დგას ხანდაზმულ ადამიანთა ჯგუფი. ვუახლოვდებით მათ.

— გილოცავთ დღესასწაულს!

— დიდი მადლობა, — ერთხმად გვიპასუხებენ.

— აქ თავი მოიყარეს სტალინგრად-კიევის სატანკო კორპუსის ვეტერანებმა, — გვიხსნის პოლკოვნიკის სამხრეულებიანი თმაჭაღარა კაცი. მე ლეონტი ვასილის ძე როდიკი ვარ. ახლა ომის მუზეუმში ვაპირებთ წასვლას.

ვუახლოვდებით ტახმორჩილ ხანშიშესულ ქალს. კაბაზე ორი ნიშანი უკეთია: მარცხნივ მედალი „მამაცობისათვის“, მარჯვნივ გვარდიული სამკერდე ნიშანი, ხელში პლაკატი უჭირავს. პლაკატზე ბევრჯერ წერია ერთი და იგივე ფრაზა: „გაუფრთხილდით ფრონტელებს! გაუფრთხილდით ვეტერანებს!“ — რისთვის მიიღეთ ეს მედალი? — ვკითხეთ ჩვენ.

— დნეპრის გადალახვისათვის. აქ, კიევის ჩრდილოეთით.

— რატომ გიჭირავთ ხელში ასეთი პლაკატი?

— ყოველ წელს 9 მაისს გამოგაქვს ეს პლაკატი, — გვიპასუხა პოლინა გრიგოლის ასულმა რუდმანმა, პენსიონერმა, სახბანკის ყოფილმა მუშაკმა. — სულ უფრო ცოტანი ვრჩებით. არადა, ახალგაზრდებს ნომ ძალიან ვჭირდებით.

— იცით თუ არა, რა ხდება ახლა ჩერნობილში?

— ვიცი, ვკითხულობ გაზეთებს, ვუყურებ ტელევიზორს. როგორც ახლა ამბობენ—ვფლობ ინფორმაციას. ჩვენთან კიევში სომშვიდეა. მეც გამომიძახეს სამედიცინო პუნქტში, რადიაციაზე შემამოწმეს. ყველაფერი რიგზე მაქვს. აი, იმათ, ვინც ახლა იქ, სადგურშია ალბათ, მეტად უჭირთ. ისე არც ჩვენ ვყოფილვართ კარგ დღეში. სწორედ იმ მხარეში გადავლახეთ მდინარე. იქვე მივიღე მედალი „მამაცობისათვის“. იქ დამჭრეს. იქ დამთავრდა კიდეც ჩემთვის ომი.

... მკაცრი განსაცდელი გამოიარეს აი ამ ახალგაზრდებმა — ელექტრომონტიორმა ა. ჟილცოვმა, უფროსმა ოპერატორმა ვ. ივოხინმა, № 1 საამქროს მერეაქტორეთა ცვლის უფროსმა ნ. სერკოვმა. ყველანი ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურიდან არიან. დამთავრდა ცვლა, გაიარეს სამედიცინო შემოწმება. იყვნენ აბანოში, გამოიცვალეს ტანსაცმელი, ისადილეს. ახლა ისვენებენ. ისინი 30-კილომეტრიანი ზონის გარეთ არიან. ახლა საუკეთესო პანსიონატები, დასასვენებელი სახლები ჭაბუკებს აქვთ დათმობილი. ვეტერანები იხსენებენ, რომ ფრონტზეც ასე იყო—ვინც მშობლიურ ნაწილში დაბრუნდებოდა საგმირო საქმეების შემდეგ, საუკეთესო ადგილას სვამდნენ. „ლუკმასაც“ საუკეთესოს აძლევდნენ. აქვე არიან უფროსი ოსტატი მ. პოხოდნია, ელექტრომონტიორი მ. ბაბეშა, სითბური ავტომატიკისა და გაზომვის საამქროს უფროსი გ. რონშინი.

— როგორ გრძნობთ თავს წინა ხაზზე? — ვეკითხებით მათ.

— თავს ნორმალურად ვგრძნობთ, რაც შეეხება ხაზს... არ ვიცი, — გვითხრა ნ. სერკოვმა—ფრონტზე, ალბათ, უფრო ძნელი იყო.

— დაიღალეთ?

— ცოტა დავიღალეთ.

— კიდევ ბევრი გაქვთ სამუშაო?

— საკმარისად.

სიტყვაძუნწნი არიან ეს ახალგაზრდები. შემდეგ, პარკში სეირნობისას უფროსმა ოსტატმა ვლადიმერ ლისკინმა აღიარა:

— რა თქმა უნდა, იღლებიან. ყოველი ოპერაცია, ყოველი მიღება, ყოველი ნაბიჯი საგულდაგულო გაანგარიშებას მოითხოვს. აქ შეცდომის უფლება არა გვაქვს. სამუშაოებიც ხომ არც დღისით, არც ღამით არ წყდება.

დღეს ეს ცვლა ისვენებს.

— ისინი „ზონიდან“ რომ არ გამოიყვანო, ათობით საათს შეუსვენებლივ იმუშავებენ, — თქვა დროებითი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა მ. სტოლიაროვსკიმ. — შშვენივრად გვესმის, რას ვაკეთებთ და რას ელიან ჩვენგან. ამიტომაც ყველა ბრძოლისაკენ მიიწევს.

ბრძოლისაკენ... და ისევ ომი გაგვახსენდა. ცხოვრობს ახლა კიევში 70 წლის სოციალისტური შრომის გმირი სიმონ პროკოფის ძე სერიხი. ხშირად ავადყოფობს ვეტერანი. მოსვენებას არ აძლევენ ძველი ჭრილობები. იქ, სადაც ახლა ავარიის აღმოფხვრისათვის მუშობენ ახალგაზრდები, გმირის საბრძოლო გზა გადიოდა. გასაოცარი ბიოგრაფია აქვს- კომუნისტი მუდამ იქ იყო, სადაც შეტაკების ბედი წყდებოდა. 1942 წლის მარტში ასეულის პოლიტხელმა შეცვალა დაჭრილი მეთაური, ყუმბარით ხელში გაუძღვა წინ მებრძოლებს მაღლობის ასაღებად. 99-ე მსროლელთა დივიზიის პირველი მსროლელთა პოლკის პოლიტხელში ბატალიონის მეთაურის მოადგილე რომ გახდა, შთამაგონებელი ბოლშევიკური სიტყვით, პირადი მაგალითით საბრძოლო საქმეებისათვის მოუწოდებდა ჯარისკაცებს. კომისარ სერიხის პარტიული ბილეთი არაერთხელ შეიღებილა სისხლით. 24 ჭრილობა დაუთვალეს ექიმებმა ტანზე იმ საშინელი ომის ბოლოს. დედამისმა საშჯერ მიიღო დაღუპვის ცნობა. მაგრამ გადარჩა. გადარჩა და ჯარში აღზარდა ახალგაზრდა მებრძოლები.

შეეხვდით მას და აი რა გვითხრა: ეს ჩერნობილელი ყმაწვილები ყოჩაღი ბიჭები არიან. ისინი გაიმარჯვებენ, მწამს მათი.

... დიახ, ძნელი გამოდგა გამარჯვების ეს დღე ჩერნობილელებისათვის. სამგზეროდ დროშა, მათ თავზე რომ ფრიალებს, ყველაზე ხასხასაა, ყველაზე მშვენიერი — წითელი ფერისაა.

ვ. ფუკოვსკი,
ვ. იტკინი,
ლ. ჩერნენკო.

საკდესის ხეიც. კორ.

კიევი.

სურათზე: ქვეყნის ყველა კუთხიდან ისვენებენ მშრომელები ქობულეთის ცენტროსოიუზის კომფორტულ სანატორიუმში.

ზ. სამსონიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჩერნობილის ატომური ელექტროსადგური: სიტუაცია სტაბილური ხდება

ბოლ უფრო დამამშვიდებელ ამბებს იტყობინებიან ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ავარიის შედეგების ლიკვიდაციით დასაქმებული მეცნიერები და სპეციალისტები. დღითი დღე მცირდება ტემპერატურა მის დაზიანებულ ბლოკში, აღინიშნება რადიაციის დონის და, ნაშასადამე, უშუალოდ სადგურის გარშემო ზონაში ადამიანთა ჯანმრთელობისათვის შესაძლო საფრთხის თანამიმდევრული შემცირება. შეშფოთებას არ იწვევს არც ატომური ელექტროსადგურის დაბაში, კიევში, მინსკსა და სხვა ახლო მდებარე ქალაქებში წყლისა და ჰაერის გარეშოს მდგომარეობა.

ასეთია მოკლედ რეზიუმე, რომელიც გააკეთეს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ხელმძღვანელებმა, ჩვენს ქვეყანაში რომ ჩამოვიდნენ საბჭოთა მთავრობის მოწვევით. 9 მაისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართულ პრესკონფერენციაზე გამოვიდნენ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს

პრესკონფერენცია

მოსკოვში

შვნელოვანი ნაწილი რადიონუკლიდებია, რომლებიც მოკლე ხანს ცოცხლობენ და რომელთა ნახევარს შეადგენს იოდის იზოტოპი იოდ-131.

პროფესორმა მ. როზენმა დადებითად შეაფასა საბჭოთა სპეციალისტების მეთოდიკა, რომლითაც გამოსხივებას ახშობენ ქვიშის, ბორის, თიხის, დოლომიტის, ტყვიისაგან შემდგარი ფარის მეშახებით. ამას მოკლე დროში მოჰყვა 30-კილომეტრიან ზონაში რადიოაქტიურობის დონის შენცირება და შესაძლებელი გახდა ცვლის პერსონალს განგრძო სამუშაოები დანარჩენ სამ რეაქტორში მათ უსაფრთხო, დაზშული მდგომარეობის შესანარჩუნებლად. მეოთხის გვერდით მდებარე მესამე რეაქტორი არ დაზიანებულა და მისი გაცივებისა და უსაფრთხოების სისტემები ნორმალურად მოქმედებს. გრძელდება სამუშაოები დაზიანებული ბლოკის ქვეშ —მათი მიზანია მთლიანად გაიუვნებლონ გამოსხივების კერა და, როგორც ფიზიკოსები ამბობენ, ბეტონში „ჩამარხონ“ იგი. 30-კილომეტრიან ზონაში რადიაციული ვითარების გაუმჯობესებას მოწმობს შემდეგი მონაცემები. ამ ზონის საზღვარზე ავარიის მომენტში გამოსხივების პიკთან შედარებით (საათში 10-15 მილირენტგენი), 5 მაისისათვის რადიაცია საათში ორ-სამ მილირენტგენამდე, ხოლო 8 მაისს — 0,15 ნილირენტგენამდე შემცირდა. კევეისა და მისი ოლქის წყლის რეზერვუარებში რადიოაქტიურობის დონე ყველა მომენტში ნორმალური იყო, აღნიშნა გენერალურმა დირექტორმა.

მოსკოვსა და უკრაინაში გაართული შეხვედრები, განაცხადა ჰ. ბლიქსმა, მეტად ნაყოფიერი იყო და მათი შედეგები აისახა კომუნიკაში ჩვენი ვიზიტის შესახებ. მიხდა ამ დოკუმენტს ზოგიერთ დავუმატო, ატომური ენერგეტიკა კაცობრიობის საქმიანობის ისეთი რთული და დიმნიშვნელოვანი სფეროა, სადაც უაღრესად საჭიროა ერთმანეთთან კონსულტაცია. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო არის კიდეც ერთდროულად ასეთი ზემოქმედების ფორუმიც და მექანიზმიც. საბჭოთა კოლეგები სიამოვნებით დაეთანხმნენ ჩემს თხოვნას ჩამოვიდნენ ვენაში ავარიის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შედეგების განსახილველად. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ საბჭოთა სპეციალისტები ოპერატიულად მიაწვდიან ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინფორმაციას რადიაციული სიტუაციის შესახებ. სააგენტოსათვის ინფორმაციის ეს არხი იხსნება დღეს, მოსკოვიდან ჩვენი გამგზავრების დღეს. ჰ. ბლიქსმა ამ მორიგების უწოდა ახალი საერთაშორისო მექანიზმის შექმნის დასაბამი, რომელიც უზრუნველყოფს დროულ გაფრთხილებას ატომურ ელექტროსადგურებში ყველა ნოველების შესახებ, რომელთა შედეგები შეიძლება გასცდეს მოცემული ქვეყნის საზღვრებს.

იმ კითხვებს შორის, რომლებსაც ჟურნალისტები სვამდნენ, უმრავლესობა — და ეს გასაგებია — ეხებოდა სადგურის გარშემო ზონაში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებთა ჯანმრთელობას. რამდენ ხანში დაიმარხება მთლიანად გამოსხივების კერა დ. როდის დაბრუნდება ხალხი შინ? სწორედ გუშინ ვიყავით კიევში, თქვეს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენლებმა. ვნახეთ, რომ ქალაქი ნორმალურად, ჩვეულებრივ ა დ ცხოვრობს. ქუჩებში ბევრი ხალხი იყო, კიდევ უფრო მეტი ხალხი იყო იმ დღეს, როცა საერთაშორისო ველორბოლა იხსნებოდა. ვეწვიეთ ნ ერ ო ე ბ ი ს მსოფლიო ომში გამარჯვებისადმი მიძღვნილ მოხუმენტს. იქ ვნახეთ ბევრი უცხოელი ტურისტი. ერთი სიტყვით, ცხოვრება თავისი კალაპოტით მიედინება. მუშაობენ სკოლები. კიეველებს, მათ შორის ბავშვების სამედიცინო გამოკვლევა გვარწმუნებს: არაევთარი საფუძველი არ არის ადამიანის ჯანმრთელობისადმი საშიშროებაზე ლაპარაკისათვის.

ამერიკელმა ჟურნალისტებ მ ა იკითხეს: მთლიანად შეწყდა თუ არა რადიაციის გამოფრქვევა მეოთხე ენერგობლოკიდან, რა ზიანი მიადგა უკრაინის სოფლის ნ ე ურნეობას.

დაზიანებულ ბლოკში სიტუაცია, ხაზგასმით აღნიშნეს სპეციალისტებმა, სტაბილური ხდება. ვერტმფრინავით სადგურის თავზე ჩვენი ფრენის დროს მოწყობილი დოზიმეტრიული გაზომვები ადასტურებენ ფაქტს, რომ ატმოსფეროში გაფრქვეული რადიოაქტიური მასალების რაოდენ ო ბ ა ჩქარეთრად შემცირდა. რაც შეეხება სოფლის მეურნეობისათვის მიყენებულ ზარალს, ეს უნდა განვიზიეროთ კერიდან ადგილის დაშორების გათვალისწინებით, აგრეთვე დროის გასვლის კვალობაზე. ჩვენ უკვე ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ ავარიის შედეგად ამოფრქვეული რადიოაქტიური იზოტოპები დიდხანს არ ცოცხლობენ. ეს კი ნიშნავს, რომ მომავალში ახლო მდებარე მინდვრებში განახლდება ნუშაობა, ხოლო ატომური ელექტროსადგურის დაბა საცხოვრებლად უსაფრთხო იქნება.

ზოგიერთმა საზღვარგარეთელმა კორესპონდენტმა დასვა შეკითხვა: ხომ არ გააჩერებს საბჭოთა კავშირი ქვეყანაში მოქმედ ჩერნობილის ტიპის სხვა რეაქტორებს?

საბჭოთა ხელისუფლებას, თქვა ჰ. ბლიქსმა, ავარიის საგულდაგულო ანალიზის დროს არ აღმოუჩენია ისეთი რამ, რის გამოც შეიძლება დახურონ სხვა რეაქტორები. გვაცხოვს, რომ ხორციელდება სხვა დანადგარებზე უსაფრთხოების გაზრდის ღონისძიებანი.

ა. ბელიკოვი,
ნ. ჟელეზნოვი.

საკდესის კორ.

უცხოელ ჟურნალისტთა ვიზიტი

8 მაისს უკრაინის სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ლიაშკო შეხვდა კიევში ჩამოსულ უცხოელ ჟურნალისტთა ჯგუფს.

ა. პ. ლიაშკომ მათ გააცნო ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ავარიის ლიკვიდაციისათვის. მან აღნიშნა, რომ სადგურის რაიონში ვითარების კონტროლი ეწევა. ითქვა, რომ ახლა სადგურის დაზიანებულ ბლოკში ტემპერატურა ციესიუსით სამას გრადუსამდე შემცირდა. ეს ნიშნავს, რომ რეაქტორში წვის პროცესი შეწყვეტილია.

მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება, კიევის ოლქის სახალხო მეურნეობა სტაბილურად ფუნქციონირებს. ამავე დროს ჟურნალისტებს აურადღება მიაპყრეს იმას, რომ დასავლეთის ზოგიერთმა საინფორმაციო სამსახურმა ავარიის გამო წამოიწყო ცილისწამებლური კამპანია, რომლის მიზანია შეიცდომაში შეიყვანოს მსოფლიო საზოგადოებრივობა, მისი ყურადღება ჩამოაშოროს საერთაშორისო კონტროლის გაჯანსაღების აქტიურ საკითხებს.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ პასუხი გასცა ჟურნალისტთა კითხვებს.

შეხვედრას დაესწრო სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ა. იზრაელი.

შემდეგ უცხოელ ჟურნალისტთა ჯგუფი შეხვდა კიევის საოლქო- აღმასკომის თავმჯდომარეს ი. ს. პლოუშჩსა და კიევის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარეს ვ. ა. ზგურსკის. გამართული საუბრის დროს შეეხნენ ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ავარიის შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებებს. აღინიშნა, რომ ქალაქსა და ოლქში ნორმალური ვითარებაა. წარმატებით მიმდინარეობს ავარიით გამოწვეულ სიძნელეთა დაძლევა.

ჟურნალისტები იყვნენ მაკაროვის რაიონში, სადაც მათ გაეცნენ ადგილობრივი მეურნეობების, საწარმოებისა და სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობა. ისინი ეწვივნენ ოჯახებს, რომლებმაც მიიღეს სადგურის გარშემო ოცდაათკილომეტრიანი ზონიდან გამოხიზნული ხალხი, გამოკითხეს, თუ როგორ გვარდება ევაკუირებული მოსახლეობის შრომითი მოწყობა და მომსახურება.

უცხოელი კორესპონდენტები გაეცნენ უკრაინის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს. იმავე დღეს ისინი მოსკოვს გაემგზავრნენ.

(საკდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში 8-9 მაისს გრძელდებოდა ავარიის შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოები. იქტიური ზონის ტემპერატურის შემცირების მიზნით წარმოების რეაქტორის ინტენსიური გაცივება, რამაც მკვეთრად შეამცირა რადიოაქტიური ნივთიერებების გამოყოფა.

განხორციელდა ელექტროსადგურის რაიონში მდინარე პრიპიატის ნაპირების შემოზვინვის სამუშაოები ახლომდებარე ტერიტორიებიდან ჩამდინარე წვიმის წყლით მდინარის რადიოაქტიური გაჭუჭყიანების თავიდან ასაცილებლად. ატომური ელექტროსადგურის პირველ, მეორე და მესამე ბლოკებში ნორმალური ვითარებაა.

8 მაისს ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის რაიონს ეწვია ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გენერალური დირექტორი ჰ. ბლიქსი. საბჭოთა მეცნიერებმა და სპეციალისტებმა მას გააცნეს შექმნილი ვითარება და ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება ავარიის ლოკალიზაციის მიზნით.

როგორც საბრძოლო ვითარებაში...

ორი დღე-ღამეა თვალი არ მოუხუჭავს სანატორიუმ-პროფილაქტორიუმის „ლესნაია პოლიანას“ მთავარ ექიმს ვიტალი ალექსის ძე მილნიჩენკოს. სანატორიუმმა დასასვენებლად მიიღო ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის მუშაკთა სარეზერვო ჯგუფი. ექსტრემალურ ვითარებაში მოქმედებამ, ოჯახების ევაკუაციამ — ყოველივე ამან, რა თქმა უნდა, იმოქმედა ადამიანთა მდგომარეობაზე. ამიტომ მათ ყველა პირობა უნდა შეეუქმნათ. ამ თავს ისე უნდა გრძნობდნენ, როგორც საკუთარ სახლში — ასეთი ამოცანა დაუსახა სამედიცინო პერსონალს მთავარმა ექიმმა.

— გამოკვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ჩვენი პაციენტები სავსებით ჯანმრთელები არიან და დასვენების შემდეგ შეძლებენ გაგრძნობენ მუშაობა, — მიაჩნია მთავარ ექიმს. — სანატორიუმის ხელმძღვანელობა უკვე აღარაფის უკეთრ დონზომეტრისტს დანახვა. რადიაციული „პატრუელ“ ყურადღებით ადევნებს თვალს ჰაერისა და ნიადაგის მდგომარეობას. ეს ახალი სპეციალობაც აითვისეს მედიკოსებმა.

მაგალითად, სტეტოსკოპი დოზიმეტრიული ხელსაწყოს საყურისებით შეცვალა ტეტეტევსკის საავადმყოფოს ახალგაზრდა ფერშალმა ვასილ კორჩევსკიმ. მას ესმის თავისი მისიის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, ყურადღებით „უსმენს“ თავის პაციენტებს.

1300-ზე მეტი ექიმი, მედდა, ლაბორანტი, დოზიმეტრისტი, 240 სასწრაფო დახმარების მანქანა — ასეთი სამედიცინო ღონისძიებ მუშაობს ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის რაიონში — გვითხრა ურაინის სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ა. ნ. ზელინსკიმ. მას ხელში უჭირავს ცნობა ევაკუირებული-მოსახლეობის განაწილების შესახებ.

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარ ავარიასთან დაკავშირებით დასავლეთში მიმართავენ მონაპარტებს, თითქოს საბჭოთა საქმესორტენ საქონელი და სატრანსპორტო საშუალებანი საშიში იყოს მათი „რადიოაქტიურობის“ გამო. დასავლეთ ევროპის მთელმა რიგმა ქვეყნებმა მიიღეს ზომები, რათა შეზღუდონ სსრ კავშირიდან და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ევროპის ზოგიერთი ქვეყნიდან სურსათისა და სხვა საქონლის იმპორტი.

ასეთი მოქმედება ძირს უთხრის შესაბამის ქვეყნებსა და სსრ კავშირს შორის ვაჭრობის, ეკონომიკური, სამრეწველო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ დადებული საერთაშორისო შეთანხმებების მიზნებს და არ შეესაბამება საერთაშორისო ვაჭრობაში წამოჭრილ საკითხთა გადაწყვეტის საყოველთაოდ მიღებულ პრაქტიკას.

სსრ კავშირის კომპეტენტურმა სახელმწიფო ორგანოებმა განახორციელეს და კვლავაც ახორციელებენ საჭირო ოპერატიულ ღონისძიებებს. საბჭოთა საქონელი და სატრანსპორტო საშუალებანი არ არის საშიში რადიოაქტიურობის თვალსაზრისით არც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისათვის, არც სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეებისათვის.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐᲒᲐᲜ

ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში 8-9 მაისს გრძელდებოდა ავარიის შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოები. იქტიური ზონის ტემპერატურის შემცირების მიზნით წარმოების რეაქტორის ინტენსიური გაცივება, რამაც მკვეთრად შეამცირა რადიოაქტიური ნივთიერებების გამოყოფა.

განხორციელდა ელექტროსადგურის რაიონში მდინარე პრიპიატის ნაპირების შემოზვინვის სამუშაოები ახლომდებარე ტერიტორიებიდან ჩამდინარე წვიმის წყლით მდინარის რადიოაქტიური გაჭუჭყიანების თავიდან ასაცილებლად. ატომური ელექტროსადგურის პირველ, მეორე და მესამე ბლოკებში ნორმალური ვითარებაა.

8 მაისს ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის რაიონს ეწვია ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გენერალური დირექტორი ჰ. ბლიქსი. საბჭოთა მეცნიერებმა და სპეციალისტებმა მას გააცნეს შექმნილი ვითარება და ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება ავარიის ლოკალიზაციის მიზნით.

ᲠᲝᲖᲘᲖᲘᲚᲘ ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ

ნაგრძნობ მუშაობა, — მიაჩნია მთავარ ექიმს. — სანატორიუმის ხელმძღვანელობა უკვე აღარაფის უკეთრ დონზომეტრისტს დანახვა. რადიაციული „პატრუელ“ ყურადღებით ადევნებს თვალს ჰაერისა და ნიადაგის მდგომარეობას. ეს ახალი სპეციალობაც აითვისეს მედიკოსებმა.

მაგალითად, სტეტოსკოპი დოზიმეტრიული ხელსაწყოს საყურისებით შეცვალა ტეტეტევსკის საავადმყოფოს ახალგაზრდა ფერშალმა ვასილ კორჩევსკიმ. მას ესმის თავისი მისიის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, ყურადღებით „უსმენს“ თავის პაციენტებს.

1300-ზე მეტი ექიმი, მედდა, ლაბორანტი, დოზიმეტრისტი, 240 სასწრაფო დახმარების მანქანა — ასეთი სამედიცინო ღონისძ მუშაობს ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის რაიონში — გვითხრა ურაინის სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ა. ნ. ზელინსკიმ. მას ხელში უჭირავს ცნობა ევაკუირებული-მოსახლეობის განაწილების შესახებ.

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარ ავარიასთან დაკავშირებით დასავლეთში მიმართავენ მონაპარტებს, თითქოს საბჭოთა საქონელი და სატრანსპორტო საშუალებანი საშიში იყოს მათი „რადიოაქტიურობის“ გამო. დასავლეთ ევროპის მთელმა რიგმა ქვეყნებმა მიიღეს ზომები, რათა შეზღუდონ სსრ კავშირიდან და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ევროპის ზოგიერთი ქვეყნიდან სურსათისა და სხვა საქონლის იმპორტი.

ასეთი მოქმედება ძირს უთხრის შესაბამის ქვეყნებსა და სსრ კავშირს შორის ვაჭრობის, ეკონომიკური, სამრეწველო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ დადებული საერთაშორისო შეთანხმებების მიზნებს და არ შეესაბამება საერთაშორისო ვაჭრობაში წამოჭრილ საკითხთა გადაწყვეტის საყოველთაოდ მიღებულ პრაქტიკას.

სსრ კავშირის კომპეტენტურმა სახელმწიფო ორგანოებმა განახორციელეს და კვლავაც ახორციელებენ საჭირო ოპერატიულ ღონისძიებებს. საბჭოთა საქონელი და სატრანსპორტო საშუალებანი არ არის საშიში რადიოაქტიურობის თვალსაზრისით არც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისათვის, არც სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეებისათვის.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲰᲐᲓᲠᲐᲯᲘ. ქალაქ ნოვი სადში დაიწყო მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის მაია ჩიბურდანიძისა და იუგოსლავიის ვიცე-ჩემპიონის პეტარ პოპოვიჩის მატჩი. მაია ჩიბურდანიძე პირველად როდი თამაშობს ვაჟ მოჭადრაკეებთან, მაგრამ იგი პირველად მონაწილეობს ამგვარ მატჩში, რომელშიც 8 პარტია გათამაშდება. პირველი პარტია გადაიდო 42-ე სვლაზე, სადაც პოზიციური უპირატესობა პოპოვიჩის მხარესაა.

ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲘᲡ საკურორტო ქალაქ კამაკაშში დაწთავრებულ ალოიზინის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვა საბჭოთა დიდოსტატმა ვ. ბაგიროვმა. მან 10 შესაძლებლიდან 7 ქულა დააგროვა.

ᲨᲘᲮᲐᲒᲠᲝᲜᲘᲗ. გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები. ქუთაისის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ—0:0.

გთავაზობთ პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო პირველობის მეცხრე ტურის მატჩების შედეგებს: „კუზბასი“-როსტოვის ასკ — 0:1, ხაბაროვსკის ასკ-„უუბანი“ — 1:1, „ისკრა“-„ლოკომოტივი“ — 0,1, „შინაკი“-„ფაკელი“ — 1:0, „როტორი“-„ნისტრუ“ — 4:0, ცსკა-ასკ „კარპატი“ — 2:2, „როსტსელმაში“-„ფეხთამკრი“ — 2:1, სტავროპოლის „დინამო“-„პამირი“ — 2:2, „კოლოსი“-„ატლანტასი“ — 1:0. ამ ტურში ჩვენი რესპუბლიკის გუნდებს ბათუმის „დინამოსა“ და ლანჩხუთის „გურიას“ არ უასპარეზეთ.

საბერძნეთში ნიმდინარე 16 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა შორის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩები ასე დამთავრდა: იტალია-გდრ — 4:2 (პენალტების სერიით), ესპანეთი-სსრ კავშირი — 2:1. პირველი ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდებიან იტალიელები და ესპანელები, მესამესთვის — გდრ-ის და სსრ კავშირის ფეხბურთელები.

მშვიდობის ᲗᲔᲚᲜᲐᲒᲝᲚᲐ. ამ ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრების მეორე და მესამე ეტაპის რბოლები კიევში გაიმართა და ახლა ეს ასპარეზობა პოლონეთის გზებზე გაგრძელდება. ნ ე ი ო რ ე ეტაპზე (48 კმ) მხოლოდ გუნდური ჩათვლა მიმდინარეობდა. აქ გამარჯვებული გამოვიდა სსრ კავშირის ნაკრები (53,56). მეორე ადგილი დაიკავეს გდრ-ის (55,19), მესამე — პოლონეთის (55,47) ველოსიპედისტებმა. მესამე ეტაპზე (152 კმ; 12 წრე) პირად ჩათვლაში უძლიერესი იყო ო. ლუდვიგი (გდრ; 3:56.16). მეორე ადგილზე გამოვიდა ვ. პულნიკოვი (სსრ კავშირი), მესამეზე — რ. ფოროტი (ჩეხოსლოვაკია). გუნდური გამარჯვება წილად ხვდა საბჭოთა ნაკრებს.

ᲙᲐᲚᲘᲤᲝᲠᲜᲘᲐᲨᲘ. ქალაქ ალარმარქს-შტადტში გრძელდება ევროპის ჩემპიონატი. 56 კილომეტრამდე წონითს კატეგორიაში ყველას აჯობა ნ. ტერნიისკიმ (ბულგარეთი; 285 კგ), მეორე ადგილზე გამოვიდა ო. ნირზოიანი (სსრ კავშირი; 280), მესამეზე — მ. გრაბლევი (ბულგარეთი; 275). 60 კგ-მდე წონის ათლეტებს შორის საპრიზო სამეფოში სპორტსმენები ასე განაწილდნენ: ნ. ბალამანოვი (ბულგარეთი; 332, 5- კგ—მსოფლიოს ახალი რეკორდი; მანვე აკრაშიც მსოფლიო რეკორდი დამყარა — 187,5), ი. სარკისიანი (სსრ კავშირი; 295 კგ), ა. ლეტენი (გდრ; 282,5). 67,5 კგ-ნდე წონითს კატეგორიაში უძლიერესი იყო ა. ბემი (გდრ; 347,5 კგ). მეორე ადგილზე გამოვიდა მ. პეტროვი (ბულგარეთი; 345), მესამეზე — ი. კუნცი (გდრ; 330).

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ. ბელგრადში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე მძიმეწონაში გაიმარჯვა პოლანდიელმა ვ